



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №10/26

2017 წლის 11 აპრილი
ქალაქი ფოთი

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საკრებულოს კომისიების, საკრებულოს აპარატის შტატგარეშე მოსამსახურეთა ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის №21/181 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციაა მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია ცვლილება შეიტანოს „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საკრებულოს კომისიების, საკრებულოს აპარატის შტატგარეშე მოსამსახურეთა ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის №21/181 განკარგულებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

შეტანილ იქნას ცვლილება „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საკრებულოს კომისიების, საკრებულოს აპარატის შტატგარეშე მოსამსახურეთა ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის №21/181 განკარგულებაში, კერძოდ: განკარგულების დანართი 1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია 2017 წლის 11 აპრილიდან.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა

N	საშტატო ერთეულის დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა
1	საკრებულოს აპარატის უფროსი	1
2	საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	7
3	იურიდიული განყოფილების უფროსი განყოფილების მთავარი სპეციალისტი	1 2
4	საორგანიზაციო განყოფილების უფროსი განყოფილების მთავარი სპეციალისტი	1 2
5	საქმისწარმოების განყოფილების უფროსი განყოფილების მთავარი სპეციალისტი	1 1
6	საოქმო-საარქივო განყოფილების უფროსი განყოფილების მთავარი სპეციალისტი	1 2
7	მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი განყოფილების მთავარი სპეციალისტი	1 3
8	სულ	23

საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე თოფურია